№ 221

კვირა, 26 ოქტომბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 221

კვირა, 26 ოქტომბერი, 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“
ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

**თავადი აბრამ გიორგის ძე, ელენე გიორგის ასული და მიხეილ გიორგის ძე ვაჩნაძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავისის მამის

## თავადის გიორგი ქაიხოსროს ძის ვაჩნაძის

გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის გვამის დაკრძალვაზედ სოფ. კარდანახში, 27 ოქტომბერს.
(1—189—1)

**თეკლე იასონის ასული და მიხეილ საბას ძე ციცქარაშვილები და თავადი ლევან სულხანის ძე ბეგთაბეგოვი** და მისი ძმა და დები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს პირველი—ძვირფასის დედისა, მეორე—სიდედრისა და უკანასკნელნი—ძვირფასის დის

## ნინო სულხანის ასულის მაჩაბელის

გარდაცვალებას (24 ოქტომბერს) და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის გვამის დაკრძალვაზე გორის მაზრის სოფ. ქურთაში, სამშაბათს, 28 ოქტომბერს. (1—190—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 26 ოქტომბერს,
ქართულის დრამატიულის დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
პირველად განახლების შემდეგ

## გაქარცული ფოსტა

მელოდრამა 5 მოქმედებად, თარგმანი ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვა-აბაშიძისა, კარგარელისა, საყვარელიძისა, გარელი და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აბრამოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(წ)

## ისყიდება

13,000 მანათად ბანკში დაგირავებული სახლი 3 სართულიანის ფლიგელითა და ბაღით. მიწა 218 ოთხ-კუთხი საჟენი. ანდრეევსკის ქუჩა № 4.
(3—188—1).

## ახალი ამბავი

* დღეს, კვირას, 26 ოქტომბერს, საღამოს ლოცვის შემდეგ გადაიხდიან დაუჯდომელს და წარმოსთქმენ ქადაგებას, როგორც წარსულ წელში იყო, შემდეგს ეკლესიებში: ქაშვეთში, სიონში, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში, ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში, დიდუბის ეკლესიაში, წმ. მარინეს ეკლესიაში, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში, ექსარხოსის ეკლესიაში და კვირაცხოველში.

* გუშინ, 25 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობას მიჰმართა ბ მა სოკოლოვმა, რომელმაც წელს ტფილისში საფეიქარო სახელოსნო გაჰმართა, და სთხოვა ამ სასწავლებლის ზოგიერთ მოწაფეს სტიპენდია დაუნიშნეთო. ამ ჟამად ამ სასწავლებლის სამს მოწაფეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ სტიპენდიები აქვთ დანიშნული, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბ-ნ სოკოლოვის სასწავლებელში ამ ჟამად სწავლობს 15 მოწაფე და უსასყიდლოდა აქვთ იმასთანვე სახლი და საჭმელ-სასმელი. მოწაფეები სასწავლებელში სწავლობენ აბრეშუმის ამოხვევას, ქსოვას, ქსოვილის შეღებვას და სხვა. ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ბ ნი სოკოლოვი ამ საქმისა მცოდნე კაცია. სახელოსნოში აქვს საუკეთესო საფეიქარო მანქანები და საჭირო მოწყობილება.

სტიპენდიების გარდა ბ-ნი სოკოლოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას ჩემს სახლზედ გაწერილს დარჩენილს გარდასახადს ნუ გადამახდევინებთ, რადგანაც სახლი ბანკშია დაგირავებული და იმის გამო, რომ ამ სახლში უფასო სკოლაა მოთავსებული, სახლს ფული არ შემოაქვსო. ამ მოხსენებასთან ერთად ბ-მა სოკოლოვმა წარუდგინა გამგეობას ალბომი სახელოსნოში გაკეთებულ აბრეშუმის ქსოვილების ნიმუშებით.

* როგორც ვუწყით, ხაზინაში არ იღებენ ხოლმე ძალიან გაცვეთილ ვერცხლის ფულს, სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტმა ამას წინად განმარტა, რომ ხაზინა ვალდებულია მიიღოს ვერცხლის ფული, თუ-კი ბეჭედი ფულისა ჯერ კიდევ ეტყობა და იგი სრულიად არა აქვს გადასულიო.

* 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, ტფილისის ბაღ-ბოსტნეულობის გამოფენაზედ გამართულ იქმნება საუბარი კავკასიის აბრეშუმეულობის საჭიროებათა შესახებ. 28 ოქტომბერს წაიკითხავს მოხსენებას 1) ნ. ნ. სპეშნევი ამიერ-კავკასიის მწვანილეულობის ბაზრის მოპოების შესახებ და 2) ფ. ვ. ტურჩინსკი ბაღისა და ვაზის წესიერად მოვლა-პატრონობის შესახებ.

* როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას მიეცა გაზეთის გამოსაცემად სამეურნეო სამინისტროდგან წლიურად 1,000 მანეთი, ხოლო დღეს სამინისტრომ მისწერა ხსენებულ საზოგადოებას, რომ ამიერიდგან ფულს ვეღარ მოგცემთო. სამეურნეო საზოგადოებას ეხლა ძალიან გაუჭირდება გაზეთის გამოცემა, რადგანაც თვით გაზეთს ძალიან ცოტა შემოსავალი აქვს და ხარჯს ვერა ჰფარავს.

* ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად დამტკიცებული თავ. კ. ი. ბაგრატიონმუხრან-ბატონი უკვე შეუდგა თავისის თანამდებობის აღსრულებას.

* გუშინ წინ, 24 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობამ გაუგზავნა ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოებას ნოტარიუსის ხელით ქაღალდი და აცნობებს, რომ ქალაქს ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა ჰსურსო.

* სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას იმის შესახებ, რომ საჭირო რამ ღონისძიება იქმნას მიღებული და რითიმე დაეხმარნენ რუსეთიდგან გადმოსახლებულ გლეხებს, რომელთაც ნიჟარაძის სასტუმროში შეუფარებიათ თავი. გადმოსახლებულთა შორის გადამდები ავადმყოფობა გავრცელებულა, სხვათა შორის ყვავილი და ამიტომ დახმარება მით უფრო საჭიროა, რომ ეს ავადმყოფობა ტფილისში არ გავრცელდეს. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა წარუდგინოს ქალაქის საბჭოს მოხსენება იმის შესახებ, რომ გადმოსახლებულთათვის თავშესაფარი გაიმართოსო.

* იმ კომისიის თავმჯდომარემ, რომელსაც გორის ხიდის შეკეთება და ლიახვის ნაპირების გამაგრება აქვს მინდობილი, შეატყობინა კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ გორის მცხოვრებელთ ლიახვის ნაპირების გასამაგრებლად მომზადებული მასალა მიაქვთ და შეშად ხმარობენ, ამიტომ იმათ წინააღმდეგ რაიმე ზომები მიიღეთო. „კავკაზის“ სიტყვათ, მთავარ-მართებლის კანცელარიამ მიმართა გუბერნატორს და სთხოვა, განკარგულება მოახდინეთ, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმესაო.

* გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით, ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ სომხებს ავლაბარში 22 ოქტომბერს ერთი ვაი-ვაგლახი და ჩხუბი აუტეხნიათ და რომ პოლიცია დროზედ არ მიშველებოდა, ერთმანეთს ამოსწყვეტდნენო. როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, ავლაბარში ამ გადმოხვეწილ სომხებს ორი სახლი დაუთმეს, სადაც მათ ყველაფერი მოუწყეს და მოუმართეს. პოლიციის განკარგულებით დედაკაცები, ბავშვები და ავადმყოფნი უფრო კარგ და თბილ ოთახებში მოათავსეს, ვიდრე დანარჩენები. ასეთის განკარგულებით ზოგნი უკმაყოფილონი დარჩენილან და ჩხუბი აუტეხნიათ. უკმაყოფილონი უმეტეს ნაწილად მთვრალები ყოფილან. იღბალზედ ჩხუბი პოლიციას შეუტყვია და დროზედ მისულა. ბოქაულს ამბარდანოვს შვიდი კაცი დაუპატიმრებია.

* მცხეთიდგან ატყობინებენ გაზ. „ტფ. ფურ.“, რომ მცხეთის მცხოვრებლები მომეტებულ ნაწილად პურს ერთ მეფურნისაგან ჰყიდულობენ, რომელსაც ფურნე რკინის გზის სადგურის მახლობლადა აქვს. მეფურნე სარგებლობს ამ გარემოებით და მეტად ძვირადა ჰყიდის გამომცხვარს პურს. ისეთსავე პურში, რომელიც კაცს შეუძლიან იყიდოს ტფილისში $3\frac{1}{2}$ კაპ., ეს მეფურნე შაურს ახდევინებს. თუ ასეთი გასავალი აქვს მცხეთაში გამომცხვარ პურს, ნუ თუ არავის შეუძლიან გაჰმართოს კიდევ მეორე ფურნე და ხელი შეუშალოს ამ მეფურნის გაუმაძღრობას?!..

* ქიზიყი. „მადლობა შენთვის, უფალო, სად იყო უწინ ესენი: ქვეყანას ღმერთი გაუწყრა, ყველა გადაგვარდა და შეიცვალა და ცა უარესად დაბერდა და გაცეტდაო“, ამბობს დღეს უკმაყოფილოდ ქიზიყის მუშა ხალხი, რადგანაც, როგორც თითქმის ყოველთვის, წარსულ ზაფხულის ხანგრძლივმა გვალვამაც მთელის ქიზიყის ჭირნახული მოტრუსა, გაანახევრა, და აგერ ეს მეორე კვირაა ეხლა კიდევ ისე დაჟინებით სწვიმს გამოუდარებლად, რომ მთლად მოაცდინა და დაშრიტა მუშა ხალხი: ვეღარც რიგიანად ჰხნავს და ჰფარცხავს და ვეღარც ვაზსა ჰსხლავს და აწვენს.

* ბოსლევი. (ქიათურა) 24 ოქტომბერს, დილის 11 საათსა და 10 წუთზედ, სადგურის მახლობლად, როდესაც საქონლის მატარებელი მიდიოდა, ორთქლ მავალს მიწის ზვავი დაეცა და ორთქლმავალი და ერთი ვაგონი დააზიანა.

* ბათუმი. 23 ოქტომბერს, როდესაც ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის მცხოვრებელი უძუმაძე თითბრით სავსე ყუთს იკიდებდა, ფეხი დაუცდა, წაიქცა და მარჯვენა მკლავი მოიტეხა. დაშავებული მაშინვე ბათუმის საავადმყოფოში გაგზავნეს.

* მცხეთა. 23 ოქტომბერს, შუადღისას, მცხეთიდგან ოთხის ვერსის მანძილზედ რკინის გზაზე მომუშავეს დუშეთის მაზრის სოფელ ძეგვის

მცხოვრებელს ისაკა როსტიაშვილს, ქვის მტვრევის დროს, ზევიდგან დიდი ქვა დაეცა და იქვე სული გააფრთხობინა. განსვენებულის გვამი იმისმა ამხანაგებმა სოფელს ძეგვში წაიღეს.

*** ქსნის ხეობა. ორი კვირაა გამუდმებითა სწვიმს; გარშემო მთები ხეობისა ჩამოთოვა,—ღამ-ღამობით საკმაოდ ცივა. ზამთარი მოახლოვდა, მაგრამ არსად პური—არსად ღვინო. საოცარს გარემოებაში ჩავცვივდით წელს; თუ ზამთარმაც მალე გვისწრო, „მშვიდობით ცოლო და შვილო“! უნდა ავიკიდოთ გუდანაბდი და სამათხოვროდ ვიაროთ...

ქსნის ხეობაზედ მობრძანდა ახალი დუშეთის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი ყარანგოზიშვილი, რომლის წყალობითაც, რაც თავი გვახსოვს, ძლივს გვეღირსა სამხედრო ბეგრისათვის სწორედ დროული გამოწვევა ჯარის კაცთა. წინად გიორგობისთვის დამლევს იწვევდნენ ხოლმე, როდესაც მთაში სასიარულო გზა ისპობოდა თოვლით; ბევრნი დროზედ ვერა ცხადდებოდნენ და პასუხის გებაში ეძლეოდნენ ზოგიერთნი უვიცნი გლეხნი, რომელნიც უბრალოდ ისჯებოდნენ სამხედრო სამართლით. ღვინობისთვეში ქსნის ხეობაზედ ჯარის კაცთა გამოწვევა დროულიც არის და შესაფერიც... რთვლები გათავდა, მაჭრიანობამ ხალხი თურაშაულ ვაშლივით გამოაწითლა, გაისმა მაყრული, „თარხალალი-ჰარალალე“ და სხვა, რომლებშიაც აშკარად გამოსჩანს მშობლიური—მამაპაპური...

## სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება.

23 ოქტომბერი

23 ოქტომბერს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას კრება ჰქონდა. კრებას თავმჯდომარეობდა სიზოგადოების ვიცე პრეზიდენტი უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი.

კრებამ, სხვათა შორის, განიხილა ბ. მერჟეევსკის მოხსენება კავკასიაში შინა მრეწველობის გაძლიერების შესახებ და იმის შესახებ მოსაზრებანი აგრონომ ფირალოვის მიერ შედგენილი. ფირალოვმავე აუწყა კრებას ის ხარჯი, რაც სამაგალითო საფეიქროს დაარსებას დასჭირდება. იმისის სიტყვით სახელოსნოს დაარსება 6,400 მანეთი დაჯდება. მეურნეობის სამინისტროს, ბ-ნ მერჟეევსკის აზრით, შეუძლიან გადასდოს სახელოსნოს დაარსებისათვის $3^1/_2$—4 ათასი მანეთი. დანარჩენი 2,400 მან. საზოგადოებამ უნდა იშოვნოს სადმე.

შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა წევრებს, სად უნდა იქმნას დაარსებული სახელოსნო, ტფილისში თუ სხვაგანაო? კრებამ 10 ხმის უმეტესობით 4 ხმის წინააღმდეგ გადასწყვიტა, სახელოსნო ტფილისში დაარსდეს. ამავე კრებამ დაადგინა მიჰმართოს კავკასიის მთავარმართებელს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს, ქალაქის თვით მმართველობას, ქალაქის საკრედიტო საზოგადოებას, სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას და სხვათა და სთხოვოს, რომ მათ ფულად ან სხვა რითიმე დახმარება გაუწიონ ამ საქმეს. თავის მხრით გადასწყვიტა, გადასდოს ამ საქმისათვის წელიწადში 200 მანეთი.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ჩვენი უთავო ხმოსნები დიდად შეშფოთებულნი არიან.

იმდენს უთაურთა შორის ერთი თავიანი აღმოჩნდა და პირუთნევლად ამხილა: რა საჭიროა, რომ თქვენი ლაყბობა ოქმში იწერება, საბჭოს მდივანი ამაოდ არის ამ საქმეზედ დამაშვრალი და მეორე სხდომის დროს ჩვენც უბრალოდ ვცდებით ამ ოქმის კითხვასა და სწორებაშიო.

ყველანი ერთმანეთს შეეკითხნენ,—რა საჭიროაო? და პასუხი ვერც ერთმა ვერ მოახერხა.

მხილება მეორე: ბევრსა ჰლაპარაკობთო, უთხრა ბ-ნმა მიტკევიჩმა.

ამ მხილების გამო საბჭომ ძალიან ბევრი ილაპარაკა იმის გამოსარკვევად, მართლა ბევრსა ლაპარაკობს იგი თუ არა და გამორკვევის შემდეგ ბევრის ნალაპარაკევის მეტი არა დარჩა-რა საბჭოს ხახალში, ანუ, უკეთ ვთქვათ, მდივნის მიერ ჩაწერილს ოქმში.

მიტკევიჩი ძალიან ზრდილობიანი კაცი უნდა იყოს, თორემ იმასაც დაატანდა, რომ ბევრს სისულელეს ჰლაპარაკობთო.

საქმიანის ლაპარაკისათვის ვინ ვის რას ეტყვის?

როგორც შევიტყე, არშაკ ბაბოვი შახ-აზიზოვ-კამსარაკანსა სდებს ბევრის ლაპარაკის ბრალსა და შახ-აზიზოვ-კამსარაკანი—არშაკ ბაბოვს.

ჩემის აზრით, არც ერთი სტყუის და არც მეორე.

მარტო ისეთი ხმოსნები არ გეგონოთ, მკითხველო, ჩვენს კურთხეულს საბჭოში, რომელნიც ლაპარაკით წყალსა ჰნაყავენ, არიან ისეთნიც, რომ პატარძალივით ჩუმად, მუნჯადა სხედან და ამთქნარებენ, ან მოგებასა სთვლიან კრიალოსანზედ.

ალბად ამ მუნჯების მაგიერად თუ ჰლაპარაკობენ ბევრის მლაღადებელნი და არაფრის მომთხრობნი.

ერთის სიტყვით, ამ დალოცვილს „ლაპარაკხანაში“, ანუ „მასლაათხანაში“ ერთი თუ თქმით აშავებს, მეორე—არა-თქმითა სცოდავს.

მიტკევიჩის წინადადება,—ცოტა ილაპარაკეთო, ბევრის ლაპარაკის შემდეგ, კომისიას გარდასცეს სალაპარაკოდ.

სწორედ ამაზეა ნათქვამი,—ღმერთს ნუ ჰფიცავ, და არა, ღმერთმანიო!

კმარა, ბატონო ხმოსანნო, დაადეთ საცო პირსა თქვენსა და ბოქლომი ბაგეთა თქვენთა!..

**

ჩვენს საბჭოში თუ ლაპარაკი გამხდარა სალაპარაკოდ, ზესტაფონის მოხელენი ჩემზედ, პაწია კალმოსანის შესახებ ილესავენ ენასა და კბილებს.

წაიკითხეს თუ არა ჩემი წერილი, მართალი „იმწვიტინეს“, გურამიშვილისებურად რომ ვთქვათ, და ყალხზედ შედგნენ.

გაჩნდა აქეთ-იქით ჯაშუშთა და იფრინდათა გზავნა,—გვიპოვნეთ ის კალმოსანია ვილაცაო.

ქუსლიანები ქუსლებით არახუნებდნენ და უქუსლოები—ჩემს კვალს ეძებდნენ.

იპოვნეს ვიღაცა უდანაშაულო გლეხი, ბევრს გაუწყრნენ, გაურისხდნენ და ცხრა ზღვა-მთას იქით გადაკარგვასაც-კი ემუქრებოდნენ.

მე-კი იქ ვიყავ და სიცილად არა მყოფნიდა იმათი გამწვიტინება.

ან მე-კი დამნაშავე ვარ? მე სარკე ვარ, იმათის სიდუხჭირის, იმათის სიმახინჯის უნაკლულოდ, უტყუარად აღმნიშვნელი.

იმათ რომ ცხვირზედ მეჭეჭები ასხდეთ, ჩემი ბრალია?!.

ცხვირის მეჭეჭებს ვიღა სჩივის, ბევრის ფეხების ბრაგუნითა და ბაკუნით ფეხის გულეში და ქუსლები ისე დაეჭეჭათ, რომ ორს დღეს ასკინკილა დადიოდნენ!..

რაზედ იწუხებდნენ თავს ნეტა?! მაგრამ მეძებონ, არა უჭირს-რა, იქნება ამ ძებნაში თავისს მოვალეობას მიაგნონ, რომელიც დიდი ხანია სადღაც სახლის კუთხესა და ხარა ხურაში აქვთ გაცვეთილ ჩექმასავით მიგდებული და აღარა კითხულობენ.

მანამდე-კი არ „დავაგდებ ძველსა გზასა“, რადგან

ავს რომ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქვა?!.

კალმოსანი

## სახალხო სიმღერების ჩამწერლების საყურადღებოდ.

მე გადავათვალიერე „სალამური“, ბ. ჩხიკვაძის მიერ ჩაწერილ ქართულ სიმღერების კრებული. პირველი გარემოება, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიპყრო და გამოაცა კიდეც, ეს ის იყო, რომ ზოგიერთ სიმღერას ნამდვილი ხალხური ტექსტის ნაცვლად სხვა-და-სხვა თანამედროვე ავტორების ორიგინალური და ნათარგმნი ლექსები ჰქონდა მოწერილი. როგორც ვიცით, ყოველი ხალხური სიმღერა შედეგია ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ამა თუ იმ საყურადღებო მოვლენა-ცვლილებისა. ამ სიმღერებში ხალხი გამოჰხატავდა ხოლმე თავის შეხედულებას, სულიერს მდგომარეობას—არა მარტო ხმების, ბგერის საშუალებით, რასაკვირველია, არამედ სიტყვებითაც სიმღერას რომ მისი საკუთარი ტექსტი მოვაცილოთ, განა შესაძლებელი იქნება მისის აზრის, შინაარსის გაგება მხოლოდ მელოდიის მიხედვით? რასაკვირველია, არა. ჩვენ შეგვიძლიან გავარჩიოთ მხოლოდ კილო, ხასიათი სიმღერისა—მხიარულია იგი თუ სევდიანი. მეტი არაფერი. მაშასადამე, თუ გვინდა ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ იმისი თუ რა გვარის მოვლენის, ან სულიერის მდგომარეობის გამომხატველია სიმღერა—უნდა დავიცვათ ტექსტი. ამითი ვგონებ, თვალ-საჩინოა საზოგადოდ ხალხურის ტექსტის დიდი მნიშვნელობა.

საუბედუროდ, დაცვის მაგივრად ტექსტს თითქმის ჩვენ თვალ-წინ საშინლად ჰრყვნიან და ზოგჯერ სრულიად სცვლიან კიდეც. სიმღერას მოუწერენ ხოლმე იმისთანა ტექსტს, რომელიც ხშირად სრულიად ეწინააღმდეგება მის მუსიკალურ შინაარსს; ამის გამო სიმღერა ჰკარგავს თავისს ხასიათს. ავიღოთ, მაგალითებრ, ბ-ნ ჩხიკვაძის კრებულიდგან სიმღერა № 3. ამ სიმღერის ნამდვილი ტექსტი ჯერ არ არის დაკარგული. იგი მოგვითხრობს ბარათაშვილის ქალის მოტაცების ამბავს. ბ-ნ ჩხიკვაძეს აუღია და ამ სიტყვების მაგივრად რაღაც საბავშო ლექსი მოუწერია: „სწავლობს გიგლა ტიტინა, მზემ შემოუჰყიტინაო“ და სხ. აბა მიბრძანეთ, თუ ღმერთი გრწამთ, სადაური ხალხური ლექსია ეს ლექსი? ან რა აქვს საერთო ბარათაშვილის ქალის მოტაცებას გიგლას სწავლასთან? რასაკვირველია, ამ სახით ნამდვილი ხალხური ტექსტი, ხალხის შემოქმედებითის ნიჭის ნაშყოფი, თანდათან სრულიად იკარგება. ნუ თუ ბ-ნთ ჩამწერლებთ არ ესმით ასეთის მოქმედების სამწუხარო მნიშვნელობა. იმათის წყალობით ხომ ბევრი რამ აკლდება მეცნიერებასა და ხელოვნებს საზოგადოდ და ქართულს მუსიკასა და სიტყვიერებას (საერო პოეზიას) განსაკუთრებით. დღეს თუ ამ საქციელს ასე წავუყრუეთ, ხვალ გამოჩნდება კიდევ ვინმე ჩვენის ხალხის გულ-შემატკივარი და აიღებს, მაგალითებრ, სიმღერას „მუმლი და მუხასა“, ან და „მოვდივარ, მოგვიხარიან“ და მოუწერს იმ ლექსს, რომელიც მას მოეწონება, და ამ სახით დაუწყებს გავრცელებას. ამიტომ, ვისაც-კი ნამდვილად შესტკივა გული სამშობლოსა და საერო მუსიკისათვის, დასაწყისშივე უნდა მოუღოს ბოლო ამ უვიცობას.

საჭიროა გვაცნობებდეს ბ-ნი ჩხიკვაძე, სად არის ნამდვილი ტექსტი მე-5, 11, 13, 14 და 15 სიმღერებისა? დაკარგულია, თუ განგებ არ არის ჩაწერილი? მე გადმომცეს, რომ ბ-ნის კარგარეთელის ხალხურ სიმღერების ხელთ-ნაწერ კრებულში არის ერთი მხიარულის ხასიათის სიმღერაო, რომლისთვისაც ჩამწერს შემდეგი ორბელიანის ლექსი მოუწერია: „ზეცას წყალობად, ნუგეშად ივერსა გაოხრებულსა“ და სხ. სიმღერის დროს გამოდის:

ზეცას წყალობად, ნუგეშად ვალალო.
ივერსა გაოხრებულსა არალალო, გალალო ივრიალალო.

დაუკვირდით იმ საშინელს დისსონანსს, რომელსაც მეორე სტრიქონში ჰხედავთ.

სახალხო სიმღერების შეკრება და ჩაწერა ძლიერ კარგი და საშვილიშვილო საქმეა და ვინც ამ აზრით არ დაიშურებს თავის დროსა და შრომას, დიახ დიდის მადლობის ღირსია. ოღონდ საჭიროა, რომ უფრო მეტის დაკვირებით მოეკიდნენ საქმეს, საჭიროა ფონოგრაფიული ჩაწერა. ბ-ნი ჩხიკვაძე რომ დაფიქრებით მოჰკიდებოდა თავისს საქმეს, უფრო მეტს სარგებლობას მოიტანდა, რასაკვირველია.

იმედი ვიქონიოთ, რომ მახლობელს მომავალში ეს ნაკლი გასწორებულ იქნება და ბ-ნი ჩხიკვაძეც თავისს კრებულის მეორე გამოცემაში აღადგენს ნამდვილ ხალხურ ტექსტს, თუ-კი ისინი სადმე მოიძებნება რასაკვირველია.

დიმიტრი არაყიშვილი

## წერილი თიანეთის მაზრიდგან.

17 ოქტომბერი

გაზეთ „კავკაზის“ მე-267 №-ში ახალ ამბავთა შორის მოხსენებულია, რომ კავკასიის სამკურნალო სამმართველოს მიუმართავს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისათვის და სთხოვს, ტფილისის სამოქალაქო დედათა სქესის საავადმყოფოში მყოფი კეთროვნებით ავადმყოფი თიანეთის მაზრის სოფ. მაღაროს-კარის მცხოვრებელი დედუკა საფარაშვილი შვილებით გადაყვანილ იქმნას თიანეთის მაზრის სასოფლო სამკურნალოში, მანამ კეთროვანთათვის განსაკუთრებული საავადმყოფო იქნება დაარსებულიო. ამის საბუთად სამმართველოს მოჰყავს ის, რომ თიანეთის მაზრის სამკურნალოს დედათა სქესის განყოფილება ცალიერია და ადგილობრივი მცხოვრებნი მით არა სარგებლობენო...(?)

ეს ამბავი წავიკითხეთ და ჩვენდა უნებლიედ გაგვეღიმა მწარედ, გაგვეღიმა იმიტომ, რომ ამითი სამკურნალო სამმართველომ ერთხელ კიდევ გაიმეორა მეტის-მეტად სამწუხარო, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტება, ჩვენის დაბა-სოფლების ცხოვრების მტკნარი უვიცობა იმათ მხრივ, ვინც კანონითაც-კი მოვალეა ზედმიწევნით იცოდეს იგი.

დაბა-სოფლების ცხოვრებას ტფილისში მცხოვრებთა მომეტებულნი იცნობენ იმ „ოფიციალურის“ მიწერ-მოწერით, რომელიც უმეტეს ნაწილად დამყარებულია „კანცელარიაში“ თავისებურად გაზომილ-გამოჭრილსა და „ოფიციალურ“ ქაღალდების ცნობებზედ.

დაბა-სოფლის ნამდვილი ცხოვრება, ხალხთა ყოფა-მოთხოვნილება „კანცელარიებში“ მოშუშულს ქაღალდებისაგან ისე შორს არის, როგორც ცა და დედამიწა.

ჩვენში დაწესებულებათა უმრავლესობა ხალხთა ცხოვრება-მოთხოვნილებას-კი არა აქვს შეფარდებული, არამედ თვით ხალხი მის უცილობელ ცხოვრება-ზნე-ჩვეულებით შეხუთულ-შეკრეჭილია და დაწესებულებათა მსხვერპლად არის გამხდარი.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ხალხის ჭირი ღობეს ჩხირად არის მიჩნეული და უტყვი უმრავლესობა მცირე ხმიანთ ეწირვება. რომ ეს ასეა, ნათლად სჩანს კავკასიის სამკურნალოს სამმართველოს მიერ ნაჩვენებ საბუთებიდგან. „ადგილობრივნი მცხოვრებნი მათდა მინიჭებულის უფლებით არა სარგებლობენ და მათთვის დაარსებულს სამკურნალოს უფრთხიანო“... ნუ თუ მართლა? მერე სად არის იგი სამკურნალო იმ გვარად მომართულ-მოწყობილი, რომ ავადმყოფნი დაწვნენ იქ მორჩენამდე? ჯერ ერთი, თიანეთის მაზრის სამკურნალოს დღეს სადგომი არც-კი აქვს. დღევანდლამდის იგი მოთავსებული იყო სოფ. ახმეტაში კნ. ნ. ჩოლაყაშვილის სახლის მეორე სართულში. სადგომის ვადა უკვე გასული აქვს და დღეს იგი თუ კვლავ ძველს სადგომშია, დიდის მადლობის ღირსია კნ. ჩოლაყაშვილისა, რომ სახლის დასაქირავებელს ქაღალდს არ უწერენ და მაინც იგი სამკურნალოს მოწყობილობას მისის აუცილებელ მკურნალ-ფერშლებით ქუჩას არ უჩვენებს. ნამდვილად ვიცით სამკურნალოსთვის სხვა სადგომს ეძებენ, მაგრამ დღევანდლამდე ეს ძებნა ჯერ-ჯერობით სასურველად არა ბოლოვდება, რადგან მთელს სოფელში სამკურნალოსათვის ყოველ მხრივ საკმაო და შესაფერი სახლი ვერ უშოვიათ. რჩება ისევ კნ. ჩოლაყაშვილის სახლები, ე. ი. ძველი სადგომი! მერე განა ისკი ყოველ მხრივ აკმაყოფილებს სასოფლო სამკურნალოს მოთხოვნილებას? სრულიადაც არა. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ წინდაწინვე გადაჭრით შეგვიძლიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვთქვათ, რომ კნ. ჩოლაყაშვილისა სამკურნალოს თავისს სახლებში ერთს წამსაც არ დააყენებს, რაკი იქ კეთროვანებით ავადმყოფნი იქნებიან მოთავსებულნი. განა წარმოსადგენადაც კი შესაძლებელია, რომ ქვედა სართულში ბავშვების პატრონი ოჯახი სცხოვრობდეს და ზემო სართულში-კი ასეთი ავის გადამდების სენით შეპყრობილი ოთხი სული დაასახლოს და თვის მთელი ოჯახი უცილებელს განსაცდელში ჩააგდოს. სამკურნალოს მთავრობამ დღევანდელი წლიური ქირა რომ გაასამკეც-გაახუთკეცოს კიდეც, მაშინაც-კი არას გზით არ დასთანხმდება კნ. ჩოლაყაშვილისა სამკურნალო თავისს სახლში დასტოვოს.

ვთქვათ, სხვა შენობაში გადაიტანეს სამკურნალო, ახალი შენობის პატრონიც დასთანხმდა ხსენებულის ავადმყოფების თავისს სახლში დაბინავებას, მერე და განა თიანეთის მაზრაში სასოფლო სამკურნალო მარტო კეთრით ავადმყოფთათვის არის დაარსებული? ნუთუ იგი სამკურნალო მთელი მაზრის მკვიდრთათვის არ არის? და თუ მაზრისთვის არის იგი, მაშინ განა ჭკუაში მოსასვლელია ავის სენით შეპყრობილთა იქ დაბინავება? მერე ვიღა გაუვლის საავადმყოფოს გვერდით? განაღა სამკურნალოს და მის მკურნალს ფერშლებითურთ ხალხი სათოფედ-და მიუდგება? დღეს სამკურნალოთი ხალხი ჯეროვანადა სარგებლობს და თუ იგი საკმაოდ ვერ იყენებს მაზრაში სამკურნალოს, ამისი მიზეზი თვით ხალხი-კი არა, ისევ სამკურნალოა. და აი რადა: ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ სამკურნალოში ორ თვეობით და მეტიც საჭირო წამლები არ არის ხოლმე. „ხინა“, რომელსაც მკურნალნი თითქმის ყოველ ავადმყოფობის წინააღმდეგ ჰხმარობენ, ძლიერ ხშირად არ არის ხოლმე კარგა ხნობით, რის გამოც არა იშვიათია, რომ საწამლებლად შორიდგან მისული ავადმყოფი უწამლოდ ბრუნდება უკან. ერთხელ ხელცარიელი დაბრუნებული 40—50 ვერსის სიშორიდგან მისული ადამიანი, მეორედ უკიდურესი გაჭირვებაღა თუ მიიყვანს სამკურნალოში, თორემ მცირე რამისთვის იქ აღარ მივა.

გარედამ მოსიარულეც, ვიმეორებ, ძლიერ ხშირად ვერ იღებს სამკურნალოდგან ჯეროვან შველა-შემწეობას და რაღა სათქმელია, რომ საავადმყოფოში მოსარჩენად დაწოლა არავინ მოინდომოს. ან სადა აქვს სამკურნალოს ისეთი მოწყობილობა, რომ ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა იტვირთოს. ჩვენ-კი როგორც ვიცით და ვიცნობთ ახმეტის სამკუნალოს, იგი მცირედადაც ისე არ არის მოწყობილი, რომ შიგ მწოლიარე ავადმყოფთა მოვლა-პატრონობა შეიძლებოდეს.

დავანებოთ ყველა ამას თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: თუ ტფილისის მიხეილის სამკურნალოს, რომელიც ყოველ მხრივად მოწყობილია, ვერ მოუთავსებია ხსენებული ავადმყოფი იმის შიშით, რომ სნეულება სხვასაც გადაედებაო, ყოვლად მოუწყობელს კარგა დიდს სოფელში მყოფს სასოფლო სამკურნალოს როგორ შეუძლიან იგი ავადმყოფნი იმ გვარად შეინახოს, რომ მათი სენი მთელს სოფელს არ მოედოს? ეს ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია და თუ კავკასიის სამკურნალო სამმართველო ამას მოსახერხებლადა სცნობს, მაშინ მეტი რაღა დაგვრჩენია, რომ ვსთქვათ: „სხვისა ჭირი—ღობეს ჩხირიო“. თუ ხსენებულ ავადმყოფთა შენახვა შეუძლებელი იყო იმ დრომდე, ვიდრე ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ყოვლად კეთილი განზრახვა (როგორც ამას წინად გაზეთებშიაც იყო მოხსენებული) კეთროვანებით ავადმყოფთათვის თიანეთის მაზრის განაპირს სამკურნალოს დაარსების შესახებ აღსრულებაში მოვიდოდა, მაშინ სწორედ რომ სჯობდა დედუკა საფარაშვილი შვილებით ისევ თავისს სოფელში ყოფილიყო. ამითი იგი არც თუ ისე საშიშ და საფრთხო გახდებოდა და, ამას გარდა, დღევანდლამდე იმისა და იმისის შვილების შესანახად დახარჯულ ოც-და-ათ თუმნამდე ფული არ დააწვებოდა კისრად ისედაც გაბეჩავებულს მის მეზობლებს, სულ თოთხმეტ კომლს.

დღეს თიანეთის მაზრას მათი შესანახავი ფულიც გადაუწყვეტელი აქვს და ავადმყოფთაც კვლავ უკან უფრო გაძლიერებულის სენით უბრუნებენ, ასახლებენ იქ, სადაც ძლიერ ახლო ხანში მათს დასახლებას მათის სენის გავრცელება მოჰყვება და აღარ იკითხავენ, რომ თუ მაზრას ორის და სამის ავადმყოფისათვის ვერ მოუვლია, ოც და ორმოც იმავე სენით შეპყრობილს როგორღა უნდა მოუაროს?... ყოველ ამ მოსაზრებათა გამო იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი ყოვლად შეუძლებლადა სცნობს კავკასიის სამკურნალოს თხოვნას.

ი. კახელი

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ტობანიერი.** ოქტომბრის 11-მდე ჩვენსკენ მშვენიერი თბილი ამინდები იდგა. შემდეგ-კი მოჰსნა ცამ პირი და აწვიმა 5 დღე. 14 და 15 მთელი დღე და ღამე განუწყვეტლივ სწვიმდა. ჩვენი გიჟ-მაჟი მდინარე „უჟმური“ ამ დროს საშინელი სანახავი იყო: 15 ოქტომბერს დილიდგან დაწყებული თან და თან იმატა ღამის 10 საათამდე, თავის კალაპოტში ვეღარ დაეტია, გადასცილდა ნაპირებს, მოიარა მთლად ახლო-მახლო არე-მარე და თამამად შევარდა სახლებშიაც; ქუჩებზე ერთის არშინის სიმაღლე წყალი დიდის ხმაურობით და ამბით გარბოდა, თან მიათრევდა შეშებს, ჩალებს და ხის ძირებს. შეიქმნა ერთი აღიაქოთი და ჩოჩქოლი: ზოგმა თოხს წამოუსვა ხელი, ზოგმა ბარს, ნიჩაბს, მაგრამ ყოველი ცდა ამაო შეიქმნა; ბოლოს დაიკაპიწეს მუხლებამდე და ისე დადიოდნენ წყალში. ჩვენი ორ კლასიანი სასწავლებელი, სოფლის სამმართველო და პატარა ბაზარი, რომელიც შესდგება ათი თორმეტიოდე დუქნისაგან, ყველა არშინის სიმაღლე წყალში იდგა; მიმოსვლა ეს ერთი კვირა შეწყვეტილი იყო, არა თუ დ. სამტრედიამდე „ლინეიკა-დილიჟანისა“, არამედ ცხენითაც არ ხერხდებოდა სიარული; მოგზაურები იყვნენ დაბინავებული დუქნებში და სამმართველოში, უცდიდნენ, წყალი როდის დაიკლებს, რომ გავიდეთ მეორე ნაპირასაო. ნაშუადღევის პირველ საათიდგან წყალმა იწყო კლება და გათენებისას ჩავარდა ისევ თავის კალაპოტში, დასტოვა მოსილული თავას გარშემო მიდამოები.

ორ-კლასიან სასწავლებელს ცუდი დღე მოელის: მდინარე „უჟმური“ ჩამოუდის სამის ან ოთხის საჟენის სიშორეზედ; ამისათვის, როგორც იწვიმებს ორი-სამი დღე, აუცილებელია, რომ არ გადმოიაროს, ამასთანავე თან ნელ-ნელა ამტვრევს მარცხენა ნაპირს და უახლოვდება სასწავლებლების შენობებს. თუმცა ბევრი ურჩია საზოგადოებას სასწავლებლის მზრუნველმა მღვდელმა ა. მამფორიამ, სხვა ადგილი ეშოვნათ და იქ გადაეტანათ პირველი კლასის შენობა და მეორეც იქვე დაედგათ, მაგრამ ვერას გახდა, ხალხმა მაინც თავისი ჰქნა; დღეს კი, როდესაც დაინახეს, საქმე ცუდად არის და მალე დასჭირდება შენობებს გადატანაო, ხალხიცა სწუხს, მაგრამ აწ გვიანდა არის.—

მახლობელ სოფლებშიაც მდინარეებმა და ნიაღვრებმა დიდი ზარალი ჰქმნა; ს. ვანში წყალმა იმსხვერპლა ორი კაცი: ვანის სამმართველოს ჩაფარი ფახურიძე, რომელიც ქუთაისიდგან მოდიოდა სახლში, 14 ოქტომბერს უნდა გამოსულიყო მდ. რიონში ბორანზედ, როდესაც ბორანი მოსულიყო შუა მდინარემდე, წყალი მოსძალებოდა და ფახურიძე დახმარებოდა მებორნეს ბაწრის მოწევას; უცებ ის ხე, რომელზედაც ბაწარი არის მოდებული და ჰბრუნავს, გატეხილიყო და ფახურიძე გადავარდნილიყო წყალში; გვამი მიცვალებულისა დაკარგულია დღესაც და დაეძებენ. მეორე ამბავი მოხდა 15 ოქტომბერს ს. ვანში: ახალგაზდა კაცი, გვარად შათირიშვილი, უნდა წასულიყო თავის ცოლითურთ ს. ტობანიერს სტორალში. ცოლს ქმარი გაეგზავნა მდ. სულორს გაღმა ქალის უნაგირის საშოვრად; მდინარე ისეთი დიდი იყო, რომ ცხენი გადაებრუნებინა და შათირიშვილი დამრჩვალიყო.

ს. ვანიდგან დადიან დ. სამტრედიამდე დილაობით „დილიჟანსი“ და ნაშუადღევის სამ საათზედ ვანიდგან და დილაობით სამტრედიიდგან „ლინეიკა“. პირველს ბინა აქვს ვანში, მეორეს-კი სამტრედიაში და მოლაპარაკებაც ისე ჰქონდათ იმათ პატრონთ, რომ დილას რომ ვანიდგან წავიდოდა „დილიჟანსი“, სამტრედიიდგან „ლინეიკა“ უნდა წამოსულიყო; ეხლა ერთი მეორეს დაეჯიბრნენ და ორნივე ერთ დროს დადიან როგორც დ. სამტრედიას, ისე ვანს; ერთი მეორეს ჯიბრით ხშირად ორნივე ცალიერები მიდიან, მოდიან და მუშტრებიც დაეფრთხოთ.

ვლადო ბზვანელი

---

### პატარა პასუხი

(კახეთის რკინის გზის შესახებ)

Le uvai seul est aimable (მართოოდენ ჭეშმარიტებაა ღირსი სიყვარულისაო), სთქვა საფრანგეთის გამოჩენილმა პოეტმა-კრიტიკოსმა ბუალომ და ჭეშმარიტებისათვის ეხლა თანავუგრძნობთ ჩვენც ბ-ნს ი. კახელს, რომელსაც „ცნობის ფურცელში“ (№ 287 და № 302) დაბეჭდილ ჩემის ორის ფელეტონის სიმართლე და დედა-აზრი სავსებით შეუგნია და ამბობს „ივერიის“ 117 №-ში: კახეთის რკინის გზის ბაქოს რკინის გზის სადგურ ევლახთან შეერთებით „კახეთ-ქიზიყი მართლაც რომ ძლიერ დაუახლოვდება როგორც მდიდარ ზაქათალის ოლქს და ნუხის მაზრას, აგრეთვე ბაქოს, იმიერ-კავკასიას და რუსეთის ბაზრებსაც-კიო. რუსეთის ბაზარი რომ სწორედ ბაქოსთან დაახლოვებით გაეხსნება კახეთს, ეს უეჭველია, რადგან, როგორც ვიცით, ბაქო და პეტროვსკი ამ ახლო ხანში რკინის გზით იქმნება შეერთებულიო“. წინად-კი სულ სხვას ჰბრძანებდა ბ-ნი ი. კახელი თავისს წერილში („ივერია“ № 160): აბა რისთვის და ვისთვის უერთებენ ტყუილ-უბრალოდ კახეთის რკინის გზას ბაქოსას და მოკლე გზით არ გაგვიადვილებენ ზემო-კახელებსაც ტფილისში მიმოსვლასო; დიაღ, ასე ჰბძანებდა და მთლად ავიწყდებოდა ქვეყნისათვის ის დიდი საღებ-მიცემო, ეკონომიური მნიშვნელობა, რომელიც მოჰყვებოდა მოკლე გზით კახეთ-ქიზიყის ბაქოსთან დაახლოვებას.

ეხლა საქმე ის არის, სოგუთბულახთან შეერთებას, როგორც თვით მთავრობავე ამბობს, ევლახთან შეერთება სჯობიაო, ჰბრძანებს ბ-ნი ი. კახელი, მაგრამ განა ამის წინააღმდეგი იქნება ვინმე, განა ისევ ის არ გამოვა, რომ მაინც კახეთ-ქიზიყი მოკლე გზით დაუახლოვდება ბაქოს, სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარგავს და პირ-იქით უფრო სამჯობინარიც იქნება ბევრის მხრით, თუ კი მართლა სარკინისგზო მთავრობამ ეს უკანასკნელი თავისი მოსაზრება ამჯობინა სხვებს.

მართალია, ბ-ნი ი. კახელი მეთანხმება: დიდი საქმეა კახეთ-ქიზიყის მოკლე გზით ბაქოსთან დაახლოვებაო, მაგრამ იქვე საეჭვო კითხვითის ნიშნით მეკითხება: ბაქოს სადგურ სოგუთბულახიდგან ერევნის გუბერნიას რა გზით-ღა დავუახლოვდებითო; მოვახსენებ შემდეგს: ერევნის გუბერნიიდგან სავაჭრო საქონელი და აღზევნის მარილი სადგურ აღსტაფაში ჩამოდის და იქიდგან რკინის გზით მიდის ფილისში. ვიდრე ერევნის გუბერნიაში წამსვლელი კახელ-ქიზიყელი ქიზიყის უკანასკნელ სადგურ ხირსიდგან თუ მაჩხაანიდგან ტფილისში ჩავა, მინამდის უდაბნოს მინდორზედ სოგუთბულახისაკენ გაბრუნებული აღსტაფაში ამოჰყოფს თავს, ასე რომ ას ოცის ვერსით შეიმოკლებს გზას და ნუ თუ ამოდენა მანძილის მოკლე გზით მოჭრას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა არ ექმნება იმ ქვეყნისათვის, რომელსაც, სხვაც რომ სულ იქით იყოს, წლის-წლობამდის მილიონი ფუთი მარილი, ნავთი და რკინა უნდება; დათვალეთ ეხლა, ბატონო, რამდენს შეჰმატებს წლითი წლობამდე ჯერ მარტო ამ სამის სავაჭრო საგნის მოკლე გზის წყალობით გაიაფდება მთელს ოთხს მაზრას: თიონეთისას, თელავისას, სიღნაღისას და ზაქათალისას. ძალიან შესაძლებელია, რომ უფრო დიდი საღებ-მიცემო, ეკონომიურ მნიშვნელობისათვის ერევნის გუბერნია და ყარსის რკინის გზა რკინის გზის ტოტითვე შეუერთონ ოდესმე ბაქოს რკინის გზას და მაშინ ხომ... მაგრამ კმარა დღესავით ცხადს, მატემატიკურ აქსიომაზე განმარტებითი ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ ბ-ნი ი. კახელი მეთანხმება თავისს უკანასკნელს წერილში და აღარ ჰბრძანებს წინანდებურად: ათიოდე სოფლისა და ოციოდე ცალიერ-ტალიერ მგზავრის ინტერესებს ვანაცვალოთ მთელის ოთხის მაზრის აღურიცხველი, დიდი საღებ-მიცემო ეკონომიური ინტერესებიო.

ჯერ თავო და თავოო, მერე ცოლო და შვილოო, დიაღ, ჯერ ყველა ქვეყნის უმთავრესს საღებ-მიცემო, ეკონომიურ კეთილ ყოფა-მდგომარეობისათვის ვეცადოთ, ვიზრუნოთ, თუ კი ჩვენი ცდა-ზრუნვა არ დარჩება ამაო ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა „სხვა-და-სხვა მიზეზის გამო“, და მერე იმის შესახებ ვილაპარაკოთ, რომ ყველა ჩვენს დარეჯან-ლუარსაბებს ზედ სახლის კარზედ ჰქონდეთ რკინის გზის ტოტი, რათა ყველას შეეძლოს ადრე და მალე გასამგზავრებლად თელეთის წმ. გიორგში სალოცავადაც რკინის მოკლე გზით წავბრძანდეთ, მამულ-დედულის დასაგირავებლადაც, დავა-საჩივრებშიაც, ბანკის „გამოფენაზედაც“, ბანკისავე ოპოზიციის ედემ-ბაღშიაც, სხვა-და სხვა სასტუმრო-კლუბ-წვეულებაშიაც საფლანგავად და სხვანი და სხვანი...აქედამ ის დასკვნა გამოდის, ბატონო ჩემო, რომ რაც უფრო ტფილისს დაშორებული ვიქნებით რკინის გზით და ბილეთის ყიდვა ძალიან საადვილო არ იქნება, ის გვირჩევნია ჯერ-ჯერობით, ვიდრე ჭკუას შევიძენთ და ჩვენზედაც იტყვიან: შეცვლილა ქართველთ ერიო, გამხდარა ჭკუა-ძლიერიო...

ქიზიყელი

---

## რუსეთი

—

ახალი სათამასუქო წესდების პროექტი, შედგენილი ბუტოვსკის კომისიაში, როგორც ხმა დადის, სრულიად აუქმებს სათამასუქო ქაღალდს. ამ გვარად, თამასუქისათვის განსაკუთრებული ქაღალდი აღარ იქმნება, მაგრამ მაინც გერბის გარდასახადი შეეწერება. მეორე თვისება ახალის თამასუქისა ის უნდა იყოს, რომ ვადა გასულის თამასუქის საკუთრებად სხვაზედ გადაცემა შეიძლება საზოგადო საფუძვლისამებრ. ვადა-გასულსავე თამასუქს, ნოტარიუსში საპროტესტოდ გამოუცხადებელს, კიდევ ერთი თვისება ეძლევა: უსარგებლო სარგებლიანი ხდება და წლიურად 6% ეკეცება ზედ. ერთი თვალ-საჩინო განსხვავება ახალის პროექტისა კიდევ ის არის, რომ პროექტი ნებას აძლევს თამასუქში შეცდომა რამე გადაასწორონ იმ პირობით, რომ ეს გარემოება შინაარსის ბოლოში იყოს მოხსენებული.

— უკვე გამოქვეყნებულ იქმნა საშეღავათო ტარიფი რუსეთის რკინის გზით მოგზაურობისა იმ ცოფიან ცხოველისაგან დაკბენილთათვის, რომელნიც მოისურვებენ რკინის გზით წასვლას მახლობელ საბაქტერიოლოგო სადგურებში საწამლებლად. ასეთივე შეღავათი მიეცემა ავადმყოფის თვალყურის მგდებელსაც. ეს შეღავათი ის არის, რომ თუ ავადმყოფმა წარუდგინა მოწმობა ადგილობრივ ერობის გამგეობისაგან მე IV კლასის ბილეთის ფასს გადაახდევინებენ და შეუძლიათ მე-III კლასით იარონ.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამ ჟამად შეუდგა მუშაობას და განზრახვა აქვს პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში რამდენიმე აუდიტორია და ლაბარატორია მოუმატოს, რის გამოც

თავრობის წინაშე იშუამდგომლებსჴ საჭირო თანხის გადადებისათვის ამ აზრის განსახორციელებლად.

— შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ნება ეძლევათ ებრაელ ასოთ ამწყობებთ იცხოვრონ სატახტო ქალაქებში საერთოდ ქალაქებში ცხოვრების შესახებ კანონდებულების შემუშავებამდის.

— რუსეთის ზოგიერთა ეპარქიაში დაუარსებიათ საეპარქიო თანხები, რომლითაც განზრახვა აქვთ უზრუნველ-ჰყონ ცეცხლისაგან ეკკლესიათა და სამღვდელოების შენობანი.

— სატახტო გაზეთების სიტყვით მომავალ თებერვალსა თუ მარტიდგან შემოღებულ იქმნება ახალი 100 მანათიანი.

— სატახტო ქალაქების დიდ ვაჭართ განზრახვა აქვთ დააარსონ საზოგადოება საეტნოგრაფიო გამოფენის გასამართავად. გამოფენაზედ იქმნებიან რუსეთის იმპერიაში ყველა მცხოვრებ ერის წარმომადგენელი საკუთარის საერო ტანისამოსით. ასეთი გამოფენა გაიმართება პირველად პეტერბურგს 1900 წელს და შემდეგ ყოველ 6 თვის განმავლობაში გადაიტანენ რუსეთის ერთის დიდის ქალაქიდგან მეორე დიდს ქალაქში.

## უცხოეთი

**ავსტრი-უნგრეთი.** ევროპის არც ერთს პარლამენტში არ არის ისეთი გაცხარებული ბრძოლა აურ-ზაური, როგორიც ამ ჟამად ავსტრიის პარლამენტშია. ერთის რომელისამე საგნის განხილვას ხსენებული პარლამენტი რამდენსამე დღეს უნდება. ეს იმიტომ-კი არა, რომ თვით საგანი მოითხოვდეს ამდენ დროს, პირ-იქით, ზოგიერთის საგნისთვის ნახევარ ან ერთის საათის მეტი არ არის საჭირო, არამედ იმიტომ, რომ პარლამენტში ჩხუბისა და ერთმანეთის ლანძღვის მეტი არაფერი კეთდება. უმთავრესი საგანი, რომლის განხილვაშიაც ეხლა პარლამენტია და რომელსაც დიდის ყურადღებით შეჰყურებს მთელი ავსტრია და უნგრეთი, ეს ავსტრიასა და უნგრეთ შორის დროებით მორიგება და შეთანხმებაა. წინანდელ მორიგებას ვადა გასდის და ეხლა ახალი ვადა უნდა დაიდოს. გრაფ-ბადენსა და საერთოდ მთავრობაზედ გაჯავრებული ოპოზიცია ყოველ ღონესა ჰღონობს, რომ ამ მორიგებას ხელი შეუშალოს და ამით მთავრობა გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩააყენოს. მართლაც, სახელმწიფო და მთავრობა დიდს გაჭირვებაში ჩავარდება, თუ ეს მორიგება არ იქმნა მიღებული. შესაძლებელია მაშინ, რომ უნგრეთმა ისარგებლოს ამით და მთლად განშორდეს ავსტრიას. ასე თუ ისე, მთავრობა ძალიან მოწადინებულია სისრულეში მოიყვანოს ეს საქმე, ხოლო ოპოზიცია — შეაფერხოს იგი. ამ საგნის განხილვა პარლამენტმა 16 ოქტომბერს დაიწყო და დღესაც ვერ დაუბოლოვებია. პირველმა კრებამ 27 საათს გასტანა. მეორე კრებამ, 18 ოქტომბერს დაწყებულმა, ორს დღესა და ღამეს გასტანა. ოპოზიციამ გრძელის სიტყვის თქმა ამ კრებაზედ თავის ერთ წევრს ლეკერს მიანდო, რომელმაც სიტყვა ცხრამეტს, საღამოს რვა საათზედ დაიწყო და მეორე დღეს, საღამოს ძლივს გაათავა. გაზეთების სიტყვით, ლეკერი ახალგაზდა, ჯანმრთელი კაცია და ამდენმა ფეხზედ დგომამ და ლაპარაკმა სრულიად არ დაღალაო. ხანდახან ლეკერს ათის ან ხუთის წუთით შესვენების ნებას აძლევდნენ, ხოლო მეგობრები მალ-მალე ყავას ან კონიაკს მიართმევდნენ ხოლმე. მაშინ, როდესაც ლეკერი თავისს სიტყვას ამბობდა, დანარჩენ დეპუტატებს ჯერ-ჯერობით ეძინათ ან სკამებზედ, ან კიდევ სასტუმრო ოთახში დივნებზედ. ზოგი სიცილსა და ლაზღანდარობაში ატარებდა დროს, ზოგი კიდევ ბანქოს თამაშობით იქცევდა თავს. მინისტრები შუაღამისას სახლში წავიდნენ და მხოლოდ მეორე დღეს რვა საათზედ დაბრუნდნენ პარლამენტში. დეპუტატები სხვა-და-სხვა ნაირად მიეგებნენ მთავრობის წარმომადგენელთ: ერთ მხარეს რომ ტაშის ცემა გაისმოდა, მეორე მხარეს სტვენასა და ღმუილს დასასრული არ უჩანდა. დრო გამოშვებით დეპუტატთა შორის ჩხუბიც-კი ასტყდებოდა ხოლმე. აი, ასე მიდის ჯერ-ჯერობით ავსტრიის პარლამენტის საქმე და შემდეგ რა იქმნება, ღმერთმა უწყის.

## ნაწყვეტი

გიცნობ, გიცნობ, გველაძუავ,
ჰია-მტვერო, ქვე მძრომელავ,
გაქნილო და გაქლესილო,
ლაქუცანა კუდა-მელავ!
პირში მაქებ, პირს უკან მთხრი:
მკიცხავ, მჭორავ, ცილით მქელავ,
შორს! შორს ჩემგან, სულ-მდაბალო,
საზიზღარო ჭიაყელავ!..

დ. მაჩხანელი

## დამაკვირდი

მურიანი სხვისის ბედნიერების გამოხმება და სხვისის ჯანმრთელობის მიზეზით ავად არის.

ოსმალ. ანდაზა

***

მუნწი კაცი ვირსა ჰგავს, რომელსაც ცოტას აჭმევენ და ბევრს-კი ამუშავებენ და რომლის ტყავისას სიკვდილს შემდეგ დაირას აკეთებენ სხვათა მოსალხენად.

სიუტორი

***

ჭუჭყიანს თითს სხვათა ნაკლულევანების სანიშნებლად და საკიჟინებლად ნუ გაიშვერ.

ფრანგ. ანდაზა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

იმ პლანეტთა შორის, რომელსაც-კი მისწვდება ადამიანის თვალი, მეცნიერნი უფრო დიდს ყურადღებას აქცევენ მარიხს (ევროპაში მარსს ეძახიან).

სულ 20—25 წელიწადი არის მას აქეთ, რაც მეცნიერთა შორის ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, მარიხზე სიცოცხლე არის თუ არა. ეს ლაპარაკი დღემდე არ შემწყდარა.

ცნობილმა მეცნიერმა ლოუელმა გამოაქვეყნა თვისი გამოკვლევა მარიხის პლანეტისა. ვისაც-კი წაუკითხავს რამ ამ პლანეტის შესახებ, ყველამ კარგად უწყის, რომ მეცნიერებმა ამ პლანეტზედ დურბინდების შემწეობით არხები დაინახეს.

პირველად ეს არხები დაინახა 1877 წელს მეცნიერმა სკიაპარელიმ და დაწვრილებით ასწერა. მას აქედ ეს არხები ბევრს მეცნიერს უნახავს. საყურადღებო ის არის, რომ ეს არხები ზოგჯერ ძლიერ კარგადა სჩანს და ზოგჯერ-კი არა. და უფრო საყურადღებო ის არის, რომ, როგორც მეცნიერნი ამტკიცებენ, ეს არხები მაშინა სჩანს ხოლმე, როდესაც დედამიწა მარიხზე უფრო დაშორებულია, ხოლო როდესაც დედამიწა მარიხს უახლოვდება, არხები აღარა სჩანს. ცხადია, რომ ეს არხები თავის თავად არ იჭრება და ამიტომ მარსზე სულიერი რამ არსება უნდა იყოს და ამ პლანეტსაც, დედამიწასავით თავისი მცხოვრებნი ჰყავს.

მეცნიერის ლოუელის სიტყვით, მარიხი გაცილებით უფრო ხნიერი და უძველესი პლანეტაა დედამიწასთან შედარებით და ამიტომ ისიც თან-და-თან სიკვდილს უახლოვდება და დედამიწაზედ ადრე დაემგზავსება მთვარეს. მთვარეზე წყალი სრულებით არ არის, მარიხზე-კი ძლიერ ცოტაა და ამიტომ არც საკვირველია, რომ მარიხის მცხოვრებნი არხებსა სჭრიან.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ დიდრონ არხების გარდა მარიხზე გაჭრილია კიდევ წვრილი არხებიც. მერე ვინ გასჭრა ეს არხები? ლოუელი ამბობს—ადამიანმა ანუ ადამიანის მსგავსმა გონიერმა არსებამ, რომელიც უეჭველად უნდა სცხოვრობდეს მარიხზე.

თუ მართლა მარიხზე ადამიანის მზგავსი მცხოვრებლები არიან, აი როგორნი უნდა იყვნენ, ლოუელის აზრით.

მარსი დედამიწაზედ პატარაა ერთი სამად. ამიტომ ყოველივე საგანი ერთი სამად უფრო სუბუქი უნდა იყვეს. მაშასადამე, მუშაობაც ერთი სამად უფრო ადვილი იქმნება. ადამიანი სიდიდით და სიმაღლით ერთი სამად უფრო მეტი უნდა იყოს და ერთი 27-დათ უფრო ღონიერი ($3\times3\times3$). თუ იმასაც ვიანგარიშებთ, რომ მარიხზე ერთი სამად უფრო ადვილია მუშაობა, მაშასადამე მარიხზე ერთი კაცი ერთი 81-თად მეტს იმუშავებს, ვიდრე დედამიწაზედ. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მარიხის მცხოვრებლებმა ისეთი დიდრონი არხები გასჭრან. გარდა ამისა მარიხზე მთები არ არის და ამიტომ მუშაობა ხომ კიდევ უფრო ადვილი იქმნება.

## შემოწირულება

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ საცავს შემოსწირეს:

ა, ივანე მაჭავარიანმა შემდეგი ძველი დოკუმენტები: მუხრან-ბატონის აშოთანის დანახარჯი მეფის გიორგისათვის; შულავრელების რუს შესახებ; ორბელიანთაგან ბარათაანთ მამულის ყიდვა; მათივე საბაჟოს შესახებ; შელოცვები; სია საკუთარი, ნასყიდი და წართმეული სოფლებისა (ორბელიანთი?); ბარათაანთაგან ს. სატრედიას გაყიდვა; იესე მუხრან-ბატონის და ასლან ორბელიანის კავშირის წერილი; ბარათაშვილისაგან რჩეულაშვილის ყიშლაღის ¼ ყიდვა; კარაბადინის ფურცლები; რევაზ ორბელიშვილისაგან იანდარაშვილის მამულის ყიდვა; ბაგრატიშვილების ახალციხეს გაპარვა! სია სარდარ-სახლთ-ხუცის აზნაურთა; წერილი „ზედგინიძის კნეინის მიმართ“; რა ხარჯი უნდა გამოიღოს ყაფლანისშვილის მამულმა სარდარის გზის ხარჯად და ბატონისშვილის ალიბეგისაგან უფურფათიშვილის მამულის ყიდვა.

ბ, მიხეილ ზედგინიძემ სამი ძველი სიგელი, გიორგი მეფისაგან მიცემული მის ბატონიშვილობის დროს. იმათგან ორს თავი და ბოლო აკლია.

და გ, ვალერიან გუნიამ მოსკოვში დაბეჭდილი 1846 წ. ვრცელი ქრისტიანებრივი კატეხიზმო. გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## გამოსადეგი ცნობა.

ფერად აბრეშუმის ქსოვილს ასე უნდა გარეცხვა. აიღეთ ერთი კედრა წყალი (მდინარისა), ჩასჭყარეთ შიგ 65 მისხალი დნით დაფშვნილი საპონი და მიუმატეთ ბოთლ-ნახევარი წყლიანი ამიაკა (Жидкій амміакъ). ამით გარეცხეთ ქსოვილი, მერე მდინარეში გაავლეთ და გააშრეთ ჩრდილში (მზე ფერს არ დაუკარგავს).

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

25 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და დაამტკიცა უწმ. სინოდის უქვეშევრდომესი მოხსენება პეტერბურგის ეპარქიაში მესამე ვიკარის კათედრის დაარსების შესახებ. ამ ვიკარის იამბურის ეპისკოპოსი ეწოდება

**პარიჟი.** პალატამ. გადასწყვიტა, რომ ორშაბათს წლის შემოსავალ-გასავლის განხილვას შეუდგეს.

**კონსტანტინეპოლი.** საბერძნეთის რწმუნებულთ ინსტრუქციები მიიღეს. მეათე კრება უკვე მოხდა. ამ კრებაზედ ზავის შესახებ ჰქონდათ მოლაპარაკება.

**ლვოვი.** გალიციისა და რუსთა კრება დათხოვნილ იქმნა მთავრობის წარმომადგენელის მიერ, რადგანაც კრების თავმჯდომარე არ დათანხმდა და სიტყვა არ შეაწყვეტინა დეპუტატს რომანჩუკს, რომელიც შეეხო პარლამენტის მდგომარეობას და იმ უკანონობას, რომელიც რეიხსტაგში ამორჩევის დროს მოხდა.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ოქტომბერი.

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 204½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 100⅜ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | 100½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 290 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 249 |

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-207-№-ში დაბეჭდილი იყო ყაზბეგის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის ბ-ნ ა. თულაშვილის საპასუხო წერილი. წერილის ბოლოში ბ-ნი თულაშვილი მთხოვს მეცა და სხვებსაც, ვისაც-კი რაიმე კორესპონდენცია მოსდის, გულ-ახდით აღვიაროთ, მიგვიღია თუ არა ჩვენ გახსნილი და გამურული ან გაზეთი და ან წერილი და, თუ მიგვიღია, როდის, გახსნილი და გამურული ჟურნალი, ან გაზეთი და ან წერილი არც ბ-ნ თულაშვილის ყაზბეგში გადმოსვლის შემდეგ მიმიღია და არც იმის მოადგილის წინად, მხოლოდ სიმართლე მოითხოვს აღვნიშნო შემდეგი: როდესაც აქ თულაშვილის წინამადგილე კაპაცინი ჰმსახურებდა, მე ეჭვად გავიგონე, რომ ფოსტაში სხვის გაზეთებს, წერილებსა ჰხსნიან და კითხულობენო და უკეთუ ამისთანა ეჭვი და მასთან საბუთებიც ჰქონდა იმ ჟამად ყაზბეგელ კორესპონდენტს, რატომ იმ კაპაცინის აქ მყოფობისა და სამსახურის დროს არ აუწყა მკითხველ საზოგადოებას?!

ბლადოჩინი მღვდელი ალექსანდრე დოლიძე

## „ივერიის“ ფოსტა

**ქ. ქ—სი. ქუთაისელს ებრაელს.** რაც წ—ლს დაემართა, ყველას შეიძლება მოუვიდეს. ეგ კერძო, საოჯახო ამბავია და მაგის გაზეთში გამოქვეყნება და სასაცილოდ აგდება საკადრისი არ არის.

**ლალიკოს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი ეტიუდი არ დაიბეჭდება.

**„ვინ მარ“-ს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**სუჯუნელს.** თითქმის ყოველდღე ვაცხადებთ, რომ ხელმოუწერელ წერილების დაბეჭდვას რედაქცია ვერ იკისრებსო, რადგანაც, აშკარაა, ვინც თავისს ვინაობას რედაქციის წინაშეც-კი ჰმალავს, მის მიერ მოწერილი ამბავი ჭეშმარიტებასთან დაახლოვებული არ იქნება. გიმეორებთ რა ამას, ვგონებთ მიხვდებით, როგორც მოვექცეოდით თქვენს ნიღაბ-აფარებულს წერილს.

**კორტოხას.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ქ. ოზ—თი. ისმაილოვს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ქ. პ—ვი. ნ. ნ—ძეს.** თქვენი ლექსი „სისხლის ძიება“ არ დაიბეჭდება.

**მეტეხელს გლეხს ა. მ—შვილს.** ციდგან ჩამოვარდნილი ლექსი არ დაიბეჭდება.


## განცხადებანი

ТОВАРИЩЕСТВО
Брокаръ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ГЛИЦЕРИНОВОЙ
ПУДРЫ.
СРЕДСТВО
ДЛЯ СМЯГЧЕНІЯ КОЖИ, РУКЪ И ЛИЦА.

Коробка съ пуховк. 80 к.



Коробка безъ пуховки 50 к.

(11—მ—5)

დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ამბავი
ცხოველთა სამეფოსი

შედგენილი ნ. რუბაკინის მიერ
სურათებით
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
ფასი 50 კაპ.

იძლევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.
ზემო სართულში ხუთი ოთახი თავისის მოწყობილობებით.